საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 4 25 0000912631

გადაწყვეტილება

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში „მეწარმეობისა და ინოვაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 05 სექტემბრის №1066846 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში №1275771, 04/10/2024) საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ლიდერობის" ინგლისურენოვანი და "მეწარმეობა და ინოვაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციების სირთულიდან გამომდინარე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ: აკრედიტაციის საბჭომ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 1.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან განისზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,“ აღნიშნულმა არ გამოიწვია 1-ლი სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მეწარმეობისა და ინოვაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ლიდერობისა" და „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის სხდომის №851523 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ორივე საბაკალავრო პროგრამის შინაარსის გადახედვა და მათი გამდიდრება ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებზე ორიენტირებული კურსებით (კონკრეტული თემები ზემოთ არის ნახსენები პროგრამის აღწერაში).
- რეკომენდებულია ორივე პროგრამის სტრუქტურის გადახედვა, რათა მკაფიოდ განისაზღვროს კომპონენტის/მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი კომპონენტები (მოდულები) და შესაბამისი კურსები.
- რეკომენდებულია ორივე საბაკალავრო პროგრამაში ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა ისინი გამდიდრდეს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დარგობრივი მახასიათებლით რეკომენდებული საკითხებითა და თემებით (მაგ. რესურსებისა და ოპერაციების მართვა; ხარისხის მენეჯმენტი; ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა; პროექტები; კლიენტები და გაყიდვები/რეკლამირება, ფინანსური ანალიზი და ანგარიშგება და აუდიტი; ა.შ.).
- რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამებში კურსების გადახედვა, რათა განისაზღვროს კრედიტების ქმედითი მოცულობა და კრედიტის საათების სათანადო განაწილება საკონტაქტო (ლექციები/სემინარები) და დამოუკიდებელი საათებს შორის (კურსის მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების, გასავლელი თემების, ინტენსივობის, მასშტაბის და სირთულის, შესასრულებელი ამოცანების, რესურსების სირთულის და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით).
- რეკომენდებულია კურსის სილაბუსების გადახედვა შეფასების რელევანტური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების, შეფასების ქმედითი კრიტერიუმების ფორმულირებისა და დეტალური რუბრიკების შედგენის თვალსაზრისით, ქულების მკაფიო განაწილებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა მიღწევების სანდო გაზომვა და შეფასება.
- რეკომენდებულია ორივე BBA პროგრამის კურსების სილაბუსების (განსაკუთრებით სავალდებულო კურსების) გადახედვა, რათა გამოიყენებოდეს სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და მითითებულ სწავლის შედეგებს; უზრუნველყავით ამ მიდგომის დეტალურად აღწერა.
- რეკომენდებულია დარგის მიმართულებაში დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ორივე საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხი და მდგრადი განხორციელება.

- რეკომენდებულია ძალისხმევის გაძლიერება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად და, შედეგად, ხელი შეეწყოს ახალი ცოდნის შექმნას.
- რეკომენდებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნასკვლევითი შედეგების სამიზნე მაჩვენებლები.
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი, რათა იგი დეტალურად აღწერდეს, თუ როგორ განიხილავს დაწესებულება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა გარე ექსპერტების მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის, მონიტორინგის და ხარისხის სხვა გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე